

საინვესტიციო მენეჯმენტი საქართველოში

ქეთევან მაღალდაძე

ადა კვიციანი

სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიზნესის, ტექნოლოგიისა და განათლების ფაკულტეტზე მენეჯმენტის მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნების შესაბამისად

პროგრამა : ბიზნესის ადმინისტრირება (მენეჯმენტი, საბანკო და საფინანსო საქმე, ტურიზმის მენეჯმენტი)

პროექტის ხელმძღვანელი : ნიკოლოზ ყაველაშვილი, პროფესორი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, (2020)

აბსტრაქტი

საინვესტიციო საქმიანობა ნებისმიერი კომერციული ორგანიზაციის ფუნქციონირების ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი ასპექტია. ინვესტიციის საჭიროების მიზეზებია წარმოების მოცულობის გაზრდა, არსებული მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განახლება და ახალი ტიპის საქმიანობის შემუშავება.

ინვესტიციის პროცესი მნიშვნელოვან როლს ასრულებს ნებისმიერი ქვეყნის ეკონომიკაში. ინვესტიცია, უმეტესწილად, განსაზღვრავს სახელმწიფოს ეკონომიკურ ზრდას, დასაქმებას და წარმოადგენს იმ საფუძვლების არსებით ელემენტს, რომელზედაც დაფუძნებულია საზოგადოების ეკონომიკური განვითარება.

წარმოდგენილი ნაშრომის კვლევის მიზანია საინვესტიციო მენეჯმენტის საკვანძო და ძირეული მცნებების წამოწევა და ანალიზი. ინვესტიციების მართვის პროცესის ძირითადი ეტაპების აღწერა; საინვესტიციო პოლიტიკის აუცილებელი ფაქტორების მიმოხილვა და მათი განხორციელების მიმართულებებისა და თავისებურებების დახასიათება საქართველოს რეალობაში.

კვლევის ამოცანაა ვაჩვენოთ, რომ ინვესტიციები დღეისთვის წარმოადგენენ ქვეყნის კრიზისიდან გამოსვლისა და გაჭიანურებული დეპრესიიდან ეკონომიკური აღმავლობისკენ გადასვლის ერთ-ერთ რეალურ ბერკეტს. თანამედროვე ეტაპზე საქართველოს რეალობაში სამრეწველო საწარმოების ეფექტური ფუნქციონირება მდგრადი ეკონომიკური ზრდის ერთ – ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორია. ინდუსტრიას გააჩნია მაღალი სამეცნიერო-ტექნიკური და ადამიანური კაპიტალის პოტენციალი, განსაზღვრავს ეკონომიკური განვითარების სტრატეგიული მიმართულებას, მაღალტექნოლოგიური სამომხმარებლო საქონელი, მნიშვნელოვან როლს შეასრულებს საქართველოს ეკონომიკის სტრუქტურულ რეფორმაში. აღნიშნული თემის ფარგლებში ჩავატარეთ თვისობრივი კვლევა, კერძოდ, სიღრმისეული ინტერვიუ იმ პიროვნებებთან, რომლებსაც უშუალოდ ჰქონიათ კავშირი და მიუღიათ მონაწილეობა საინვესტიციო პროექტებში. კვლევის ფარგლებში, რა თქმა უნდა, შემუშავდა თეზები შემდეგი გადამოწმების მიზნით. კვლევის ფარგლებში დაშვებული ორივე ჰიპოთეზა დადასტურდა:

- ინვესტიციური პროექტების დაფინანსების ეფექტური სისტემა უნდა ეფუძნებოდეს სხვადასხვა ფინანსური ინსტრუმენტების ჰარმონიულ კომბინაციას;
- რისკის შეფასების სიზუსტე და საინვესტიციო პროექტების რისკების მართვის ხარისხი აუმჯობესებს რისკების სწორად იდენტიფიცირების შესაძლებლობებს.

Abstract

Investment activity is one of the most important aspects for the functioning of any commercial organization. The reasons for the need of investment are the renewal of the existing material and technical base, the increase of production volume and the development of new types of activities.

The investment process plays an important role in the economy of any country. Investment, for the most part, determines the economic growth of the state, employment and is an essential element of the foundations on which the economic development of a society is based.

The aim of the present paper is to present and analyze key and fundamental commands of investment management. A description of the main stages of the investment management process; Reviewing the necessary factors of investment policy and characterizing the directions and peculiarities of their implementation in the reality of Georgia.

The study aims to show that investments are one of the real levers for overcoming the country's crises and moving from protracted depression to economic prosperity. At the present stage, the effective functioning of industrial enterprises in the reality of Georgia is one of the important factors of sustainable economic growth. The industry has the potential of high scientific-technical and human capital, determines the strategic direction of economic development, high-tech consumer goods will play an important role in the structural reform of the Georgian economy. Within the framework of this topic, we conducted a qualitative study, in particular, an in-depth interview with individuals who had a direct connection with and participated in investment projects. As part of the study, of course, hypotheses were developed for the next verification. Both hypotheses allowed in the study were confirmed:

- An effective investment financing system should be based on a harmonious combination of different financial instruments;
- The accuracy of risk assessment and the degree of risk management of investment projects improves the ability to correctly identify risks.